საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

08/07/2025

MES 7 25 0000912706

გადაწყვეტილება

"სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 06 დეკემბრის №1571180 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 24 ივნისის სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საბჭომ

გადაწყვიტა:

1. "სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2024 წლის 06 დეკემბრის №1571180 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და ჩამოყალიბდეს შემდენაირად:

"4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის და სტრუქტურის გადახედვა, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით.
- რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს შემდეგი სასწავლო კურსები: მარკეტინგი, ადამიანური რესურსების მართვა და ბიზნეს სამართალი
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის კრედიტების მოცულობა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილების გათვალისწინებით საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N 3 ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ პრინციპების შესაბამისად.

- რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გააძლიეროს მხარდაჭერის მექანიზმების გამოყენება სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებისთვის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის გაძლიერების მიზნით.

რჩევები:

- სასურველია, უნივერსიტეტმა წაახალისოს ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალი, გაეცნონ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს.
- სასურველია, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტი მოიცავდეს მკაფიო და ეფექტურ გზებს გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
- სასურველია, თავისუფალი კომპონენტის სახით მინიმუმ 5 - 10 კრედიტის დამატება, რაც სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას სხვა პროგრამებიდან აირჩიონ მათთვის საინტერესო სასწავლო კურსები დახელს შეუწყობს შემომავალი მობილობის შესაძლებლობის გაზრდას.
- სასურველია, გაუმჯობესდეს სასწავლო პროგრამების ქართულენოვანი ლიტერატურით უზრუნველყოფა.
- სასურველია, სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომების შესრულების და შეფასების დროს უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს აკადემიური წერის სტილის დაცვას.
- სასურველია, გაიზარდოს სტუდენტთა გათვითცნობიერების დონე და მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ინიციატივებში, ღონისძიებებში, საშემსრულებლო ხელოვნების აქტივობებში, კონფერენციებსა და მათი აკადემიური დონის შესაბამის კვლევით აქტივობებში.
- სასურველია, უნივერსიტეტმა საფუძვლიანად გამოიკვლიოს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ეტაპზე გამოყენებული საკონსულტაციო პროცესების ეფექტურობა, რათა გამოავლინოს შესაძლო ხარვეზები.
- სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს, რომ მის სრულ აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს სამეცნიერო პროფილები სხვადასხვა პლატფორმებზე, როგორიც არის Google Scholar, ResearchGate, ORCID, Scopus და Clarivate.
- სასურველია, უნივერსიტეტმა იმ პერსონალისათვის, რომლებსაც არ აქვთ აკადემიური გამოცდილება უზრუნველყოს სავალდებულო კურსები სწავლის მეთოდებში.
- სასურველია, რომ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ჯგუფში უშუალოდ იყვნენ წარმოდგენილი სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები როგორც აღნიშნული ჯგუფის წევრები."

2. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 08 ივლისის №851523 ოქმის № 9 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 - ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64, აღნიშნული გადაწყვეტილების დაწესებულების ინფორმირების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე